

„დამტკიცებულია“

საქართველოს საპატრიარქოს წმ. ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება № 02-01/05. 5.09.2022 წ.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,

რექტორი, სხალთის მთავარეპისკოპოსი

სპირიდონი

საქართველოს საპატრიარქოს  
წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

პროფესიული განათლების ცენტრი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელი

საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი - შუახევის მუნიციპალიტეტი, სოფ: ტაკიძეები ხიჭაური

ელ- ფოსტა - [tbelabuserisdze@gmail.com](mailto:tbelabuserisdze@gmail.com)

პროგრამის ხელმძღვანელი: სამონაზვნე ბარბარე /ც.მეგრელაძე/

2022 წელი

- I. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება - სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელი
- II. ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზე შემუშავდა პროგრამა - 02117 -3
- III. პროგრამის მიზანი:  
პროგრამის მიზანია კვალიფიციური კადრის მომზადება, რომელიც შეძლებს ადრეულ და სკოლამდელ ასაკში ბავშვზე ზრუნვას, მის აღზრდას და განვითარებას. ამ მიზნებისთვის აღმზრდელმა უნდა უზრუნველყოს უსაფრთხო და განმავითარებელი სააღმზრდელო გარემო და ამ პროცესში შეძლოს ბავშვის ოჯახთან, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების კოლექტივთან, სფეროს წარმომადგენლებთან კომუნიკაცია და საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა.
- IV. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში
- V. დაშვების წინაპირობა - სრული ზოგადი განათლება.
- VI. კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები  
პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია იმუშაოს სკოლამდელ დაწესებულებაში აღმზრდელის პოზიციაზე, ასევე იმუშაოს თვითდასაქმებით აღმზრდელად.
- VII. სტრუქტურა და მოდულები:  
კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პირმა უნდა დააგროვოს **116 კრედიტი**, რომელთან ზოგადი მოდულები შეადგენს 11-ს, ხოლო სპეციალიზაციის პროფესიული დარგობრივი მოდულები 105 კრედიტს. არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის „ქართული ენა A2“ და „ქართული ენა B1“ უდრის 30 კრედიტს. შესაბამისად არაქართულენოვანმა სტუდენტებმა კვალიფიკაციის მინიჭებისათვის უნდა დააგროვოს **146 კრედიტი**.  
მოდულების „ქართული ენა A2“ და „ქართული ენა B1“ გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. აღნიშნული პირებისთვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით. ქართული ენის კომპეტენცია დადასტურდება ტესტირებით.
- პრაქტიკის განხორციელების მიდგომები
  - პრაქტიკის ობიექტთან მემორანდუმის გაფორმება
  - პრაქტიკის ჩატარების პროგრამის შედგენა და განხორციელება

ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის სწავლების ხანგრძლივობა - 84 სასწავლო კვირა ( 21 სასწავლო თვე).  
 არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის - 104 სასწავლო კვირა (31 სასწავლო თვე).

№	ზოგადი მოდულები	კრედიტი
1	უცხოური ენა (ინგლისური ენა)	5
2	მეწარმეობა 3	3
3	ინფორმაციული წიგნიერება 2	3
	<b>ჯამი</b>	<b>11</b>
№	არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტი
28	ქართული ენა A2	15
29	ქართული ენა B1	15
	<b>ჯამი</b>	<b>30</b>
№	სპეციალიზაციის პროფესიული/დარგობრივი მოდულები	კრედიტი
4	გაცნობითი პრაქტიკა - სკოლამდელი აღზრდა და განათლება	2
5	პრაქტიკული პროექტი - სკოლამდელი აღზრდა და განათლება	12
6	შესავალი ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში	5
7	პროფესიული ეთიკა სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში	3
8	ბავშვის განვითარების თავისებურებები	4
9	ადრეული განათლების კურიკულუმები	5
10	დაკვირვება და შეფასება ადრეულ და სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში	6
11	დამოუკიდებლობა და ადაპტური ქცევა ადრეულ სკოლამდელ ასაკში	3
12	ოჯახის და თემის ჩართულობა სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში	3
13	ჯანმრთელობა და უსაფრთხოება	6
14	თანამედროვე გამოწვევები ადრეულ და სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში	2
15	საგანმანათლებლო გარემო	8
16	ფიზიკური და სენსორული განვითარების ხელშეწყობა ადრეულ და სკოლამდელ ასაკში	2
17	ადრეული და სკოლამდელი განათლების მეთოდოლოგია	9
18	კომუნიკაცია, ენა, მეტყველება ადრეულ და სკოლამდელ ასაკში	4
19	სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობის თავისებურებები სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში	5

20	წიგნიერება ადრეულ და სკოლამდელ ასაკში	3
21	სახვითი და ვიზუალური ხელოვნება ადრეულ და სკოლამდელ ასაკში	3
22	პერფორმანსული ხელოვნება ადრეულ და სკოლამდელ ასაკში	3
23	მათემატიკური წარმოდგენების ფორმირება ადრეულ და სკოლამდელ ასაკში	4
24	კვლევა და აღმოჩენა ადრეულ და სკოლამდელ ასაკში	5
25	კულტურა , ტრადიცია და მოაქლაქეობა ადრეულ და სკოლამდელ ასაკში	3
26	ტექნოლოგიების გამოყენება ადრეულ და სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში	2
27	მუსიკა და მოძრაობა ადრეულ და სკოლამდელ განვითარებაში	3
	<b>ჯამი</b>	<b>105</b>
	<b>სულ ჯამი (ქართულენოვანი სტუდენტებისთვის)</b>	<b>116</b>

**VIII. მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები:**

სკოლამდე აღზრდაში მეხუთე საფეხურის კვალიფიკაციის მქონე პირს პროგრამის გავლის შემდეგ შეუძლია

- ა) ადრეული და სკოლამდე ასაკის ბავშვის ჰოლისტური განვითარება მათი ასაკობრივი თავისებურებების, ინტერსების, ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით.
- ბ) მრავალფეროვანი, მასტიმულირებელი, საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროცესის დაგეგმვასა და მართვაში მონაწილეობა და განხორციელება.
- გ) ბავშვის განვითარების ხელშემწყობი სტრატეგიების გამოყენება.
- დ) წარმატებული, უსაფრთხო, მხარდამჭერი სააღმზრდელო გარემოს შექმნა.
- ე) პანდემიის პირობებში ბავშვთა ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო რეკომენდაციების წესების დაცვა

## **IX. პროგრამის შემუშავების საფუძველი:**

პროგრამა შემუშავებულია აღმზრდელის პროფესიული საგანმანათლებლო ჩარჩო-დოკუმენტის მიხედვით: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №192/ნ 2017 წლის 12 დეკემბერი) გათვალისწინებულია კვალიფიკაციის ეროვნული ჩარჩოს განახლებული მოთხოვნებით 2019წ.

## **X. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება**

1. კრედიტების მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც ხორციელდება სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესით და შიდა ვერიფიკაციის მექანიზმით
2. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:
  - ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით (ჩათვლა).
  - ბ) არაფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.
  - გ) სწავლის შედეგები დადასტურდება შეფასების გზით.
3. არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.
  - ა) განმავითარებელი შეფასება განაპირობებს სტუდენტის მიერ მიღწეული შედეგების გაუმჯობესებაში დახმარებას.
  - ბ) განმსაზღვრელი შეფასებით მოდულის სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება მარეგულირებელი წესის შესაბამისად, შუალედური შეფასების გათვალისწინებით.
4. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებით შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

## **XI. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება**

კვალიფიკაციას ანიჭებს საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

## **XII. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) პროფესიული სტუდენტების**

## სწავლებისათვის

1. პროგრამით გათვალისწინებულ მოდულებზე დაშვების წინაპირობები არ ვრცელდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე.
2. პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია XI პუნქტში მოყვანილი წესით
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებით. კვალიფიკაციის ეროვნული ჩარჩო 2019

## XIII. პროგრამის შემუშავების სამართლებრივი საფუძველი

- აღმზრდელის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტი 2017 (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება 192/ნ 2017 წ 12 დეკემბერი)

## დანართები:

დანართი № 1 - სასწავლო გეგმა

დანართი № 2 – პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლები

დანართი № 3 - სასწავლო გარემო და მატერიალური რესურსი

დანართი № 4 - უცხოური ენა (ინგლისური ენა)

დანართი № 5 - მეწარმეობა 3

დანართი № 6 - ინფორმაციული წიგნიერება 2

დანართი № 7- გაცნობითი პრაქტიკა - სკოლამდელი აღზრდა და განათლება

დანართი № 8 - პრაქტიკული პროექტი - სკოლამდელი აღზრდა და განათლება

დანართი № 9 - შესავალი ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში

დანართი № 10 - პროფესიული ეთიკა სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში

დანართი № 11 - ბავშვის განვითარების თავისებურებები

დანართი № 12 - ადრეული განათლების კურიკულუმები

დანართი № 13 - დაკვირვება და შეფასება ადრეულ და სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში

დანართი № 14- დამოუკიდებლობა და ადაპტური ქცევა ადრეულ სკოლამდელ ასაკში

დანართი № 15 - ოჯახის და თემის ჩართულობა სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში

დანართი № 16 - ჯანმრთელობა და უსაფრთხოება

- დანართი № 17 - თანამედროვე გამოწვევები ადრეულ და სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში
- დანართი № 18 - საგანმანათლებლო გარემო
- დანართი № 19 - ფიზიკური და სენსორული განვითარების ხელშეწყობა ადრეულ და სკოლამდელ ასაკში
- დანართი № 20 ადრეული და სკოლამდელი განათლების მეთოდოლოგია
- დანართი № 21 - კომუნიკაცია, ენა მეტყველება ადრეულ და სკოლამდელ ასაკში
- დანართი № 22 - სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობის თავისებურებები სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში
- დანართი № 23 - წიგნიერება ადრეულ და სკოლამდელ ასაკში
- დანართი №24 - სახვითი და ვიზუალური ხელოვნება ადრეულ და სკოლამდელ ასაკში
- დანართი №25 - პერფორმანსული ხელოვნება ადრეულ და სკოლამდელ ასაკში
- დანართი №26 - მათემატიკური წარმოდგენების ფორმირება ადრეულ და სკოლამდელ ასაკში
- დანართი №27 - კვლევა და აღმოჩენა ადრეულ და სკოლამდელ ასაკში
- დანართი №28 - კულტურა, ტრადიცია და მოქალაქეობა ადრეულ და სკოლამდელ ასაკში
- დანართი №29 - ტექნოლოგიების გამოყენება ადრეულ და სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში
- დანართი №30 - მუსიკა და მოძრაობა ადრეულ და სკოლამდელ განვითარებაში
- დანართი №31 - ქართული ენა A2
- დანართი №32 - ქართული ენა B1